

საერთაშორისო სამოქალაქო საპროცესო და საერთაშორისო კერძო
სამართლის აქტუალური საკითხები ქართულ იურიდიულ
პრაქტიკაში

გიორგი სვანაძე, LL.M., MLB (Bucerius/WHU, Hamburg/Vallendar)
სამართლის დოქტორი

უფროსი იურისტი – Deloitte & Touche, ადვოკატი - საქართველო
აკადემიური თანადირექტორი – NCCL


ასისტენტ-პროფესორი – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; თავისუფალი უნივერსიტეტი

სარჩევი

- A. საერთაშორისო კომერციული (ბიზნეს-) ხელშეკრულებების დადება
- B. საერთაშორისო პროცესი და მისი გავლენა საერთაშორისო ბიზნეს დავებზე
- C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა
- D. კაზუსი


A. საერთაშორისო კომერციული (ბიზნეს-)
ხელშეკრულებების დადება

1. საერთაშორისო ვაჭრობა და სასურველი სამართლის ძიება



A. საერთაშორისო კომერციული (ბიზნეს-)
ხელშეკრულებების დადება

2. გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრა 2 საფეხუროვანი სქემით



A. საერთაშორისო კომერციული (ბიზნეს-)
ხელშეკრულებების დადება

- “ყოველი ვისაც კი მოუწევს საკუთარი უფლებების უცხო ქვეყანაში დაცვა საჭიროებს უფრო მეტ დროს, ენერჯიას და რესურსებს, ვიდრე საკუთარ ქვეყანაში; იგი უნდა ენდოს მისთვის უცნობ ადვოკატს, მას მოელოს ენობრივი ბარიერები და საბოლოო ჯამში უცხოურ სამართალსა და იუსტიციის სისტემაში რთულად თუ შესძლებს საკუთარი სამართლის პოვნას”

წყარო:

- შეად.: Kegel/Schurig, IPR გვ. 1050; R.A.Schütze, Conceptual Differences and Areas of Potential Collision between United States and „Civil Law“, გვ. 17.

A. საერთაშორისო კომერციული (ბიზნეს-)
ხელშეკრულებების დადება

იურისტის ფუნქცია და
როლი საერთაშორისო
კომერციული (ბიზნეს-)
ხელშეკრულებების
დადებისას

KEEP people out of trouble not to GET them out of trouble!

სამართლებრივი
წესების ჩამოყალიბება
(ხელშეკრულების
შესაბამისი მუხლების
ჩამოყალიბება)

კლიენტებისთვის
პრობლემების თავიდან
არიდების უზრუნველყოფა
და არა მათი უკვე
წარმოშობილი
პრობლემებიდან დახსნა

ხელშეკრულებაზე
მოქმედი
ბიზნეს და
ეკონომიკური
ეფექტების
განსაზღვრა

A. საერთაშორისო კომერციული (ბიზნეს-)
ხელშეკრულებების დადება

განსხვავებები ნაციონალურ
და საერთაშორისო კომერციულ
(ბიზნეს-) ხელშეკრულებებს
შორის

ნაციონალური ხელშეკრულებები


საერთაშორისო ხელშეკრულებები
I. გამოსაყენებელი სამართალი:
II. კომპეტენციის მქონე სასამართლო:

I. ხელშეკრულებაზე გამოსაყენებელი
სამართალი: ნაციონალური სამართალი
II. კომპეტენციის მქონე სასამართლო:
ნაციონალური სასამართლო

1. ერთ-ერთი მხარის ქვეყნის
ნაციონალური სამართალი?
2. მესამე ქვეყნის ნაციონალური
სამართალი?
3. საერთაშორისო კონვენცია?

1. მოსარჩელის ქვეყნის სასამართლო თუ
მესამე ქვეყნის სასამართლო?
2. მოპასუხის ქვეყნის სასამართლო?
3. კერძო არბიტრაჟი თუ მედიაცია?


A. საერთაშორისო კომერციული (ბიზნეს-)
ხელშეკრულებების დადება



- punitive damages: საჯარიმო სანქცია მიყენებული ზიანისათვის (IBL, გვ 24)
- საეაჭრო წარმომადგენლის კომპენსაცია (Agent's Indemnity): 2 წლის საკომისიოს მიღების უფლება. (Drafting and Negotiating International Commercial Contracts, გვ 32)

A. საერთაშორისო კომერციული (ბიზნეს-) ხელშეკრულებების დადება

- ხელშეკრულებების სტილი:
- საერთო სამართლის სისტემა:
 1. კონკრეტული მუხლები,
 2. დეფინიციები
- კონტინენტური სამართლის სისტემა
 1. არსებითი ნორმები,
 2. რეგულირება კოდიფიცირებული კანონებით



B. საერთაშორისო პროცესი და მისი გავლენა ხელშეკრულებებზე

- **Forum Shopping**-ი - სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ სასამართლოთა საერთაშორისო კომპეტენციის სისტემური გამოყენება გარკვეული სამართლებრივი ან ფაქტობრივი სარგებლის მიღების მიზნით
- **Forum Shopping**-ისას მოსარჩელე ახდენს თავისი უფლების გამოყენებას (შეად.: მუხლი 25 სსსკ)
- არასწორმა **Forum Shopping**-მა შეიძლება ადვოკატი ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი გახადოს კლიენტის წინაშე

B. საერთაშორისო პროცესი და
მისი გავლენა ხელშეკრულებებზე

ქვეყანათა კონკურენცია:

- “თუკი რომელიმე მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისთვის სარჩელის ინგლისში აღძვრა მომგებიანია აქაური პროცესუალური ან მატერიალური ნორმების გამო რათქმაუნდა მას აქვს სარჩელის აქ აღძვრის უფლება. აქ სარჩელის აღძვრის უფლება არ ვრცელდება მხოლოდ ინგლისელებზე; აღნიშნული ყველა მეგობრულ უცხოელს შეეხება. მას შეუძლია ჩვენი სასამართლოებისადმი წყურვილი დაიკმაყოფილოს. თქვენ შეიძლება ყოველივე ამას Forum Shopping – ი უწოდოთ თუ ასე ქსურთ, მაგრამ თუ Forum-ი ინგლისშია, მაშინ ეს კარგი ადგილია სა-Shopping-ოდ, როგორც საქონლის ხარისხის ასევე მომსახურების სისწრაფის გამო!”

წყარო:

(ლორდი დენინგი (Lord Denning) The Atlantic Star [1972] 3 All ER 705, 709.).

B. საერთაშორისო პროცესი და
მისი გავლენა ხელშეკრულებებზე

- “Made in Germany” წარმოადგენს არა მხოლოდ გერმანული მანქანების და ტექნიკის ხარისხზე მიმთითებელ ნიშანს, არამედ აღნიშნული ასევე იგულისხმება გერმანულ სამართალთან მიმართებითაც.
- **Brochure – 2007 (England) VS 2009 (Germany)**

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა
გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება
საქმის ნომერი: ა-1985-შ-68-09 თარიღი 26/03/2010

- “[...] საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს”.
ამ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ობიექტად მოიაზრება არა კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ – მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი და აღსრულებადი გადაწყვეტილება. [...]”
- “[...] უცხო ქვეყნის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა ნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე მოჰყვება იგივე სამართლებრივი შედეგი, რასაც აღნიშნული გადაწყვეტილება მის გამომტან ქვეყანაში ისახავს მიზნად. [...]”

D. კაზუსი

მუხლი 3. გადახდის პირობები და ჯარიმა

- **3.1.** *ნასყიდობის ფასი შეადგენს 1500000 აშშ დოლარს საიდანაც 500000 აშშ დოლარის გადახდა უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადებიდან 5 საბანკო დღეში ხოლო დარჩენილი 1000000 აშშ დოლარის გადახდა უნდა მოხდეს ხელშეკრულების დადებიდან 20 საბანკო დღეში.*
- **3.2.** *იმ შემთხვევაში, თუ მყიდველი ნასყიდობის ფასის სრულად გადახდამდე მოახდენს წილის 1%-ის ან მეტის მესამე პირზე გასხვისებას, მაშინ იგი ვალდებულია გამყიდველს ჯარიმის სახით გადაუხადოს 1000000 აშშ დოლარი ჯარიმის სახით.*

მუხლი 10. გამოსაყენებელი სამართალი, დავათა გადაწყვეტა, შესრულების ადგილი

- **10.1.** *მხარეთა შორის წინამდებარე ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავები ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე უნდა გადაწყდეს იტალიის სამართლით, წილზე საკუთრების უფლების გადასვლა-გადაცემისა და ნივთობრივი ნაკლის თაობაზე ქართული სამართლით.*
- **10.2.** *მხარეთა შორის წარმოშობილი დავები ნივთობრივი ნაკლის თაობაზე უნდა გადაწყდეს ქართული სასამართლოების წინაშე.*
- **10.3.** *წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ადგილს წარმოადგენს საქართველო, თბილისი.*

D. კაზუსი

- ❖ *ნასყიდობის ფასის გადახდა - იტალიის სამართლით*
- ❖ *საკუთრების უფლების გადასვლა-გადაცემა - ქართული სამართლით*
- ❖ *ნივთობრივი ნაკლი - ქართული სამართლით*

D. კაზუსი (case-study)

a. ცნობს თუ არა საქართველოს უზენაესი სასამართლო ინგლისის სასამართლოს გადაწყვეტილებას?

თანხის გადახდა	ჯარიმის გადახდა
სკ 1, 2 სკ 68 (1) სკ 68 (2) – სსსკ 17?	სკ 1, 2 სკ 68 (1) სკ 68 (2) – სსსკ 17? სსკ 420 – 68 (2)(ზ)
↓ ცნობს?	↓ არ ცნობს?

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

- სარკისებრი პრინციპი - **Mirror Rule**
- მინიმალური შემხებლობის (კონტაქტის) პრინციპი - **minimum contact**

❖ *“ჩვენ ვცნობთ იმ ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელსაც საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ [საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების] ჰიპოთეტური გამოყენებისასაც ექნებოდა საერთაშორისო კომპეტენცია“*

68 (2) გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ:

დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება;

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

გადაწყვეტილებათა ცნობა:

კანონი:

მუხლი 68. უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა

1. საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს.

მუხლი 71. გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურა

1. შუამდგომლობას აღსრულებისათვის თან უნდა დაერთოს სასამართლო გადაწყვეტილების დამოწმებული ასლი და დამოწმებული ქართული თარგმანი, აგრეთვე ცნობა გადაწყვეტილების ძალაში შესვლისა და მისი აღსრულების აუცილებლობის შესახებ, თუ ეს შუამდგომლობის ტექსტიდან არ გამომდინარეობს.

- გამოსაყენებელი მატერიალური სამართალი?
- გამოსაყენებელი საპროცესო სამართალი? *(პირველი თუ მეორე სასამართლო?)*

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

- ტერმინი „გადაწყვეტილება“: *მოიცავს თუ არა*
 - „განჩინებას“;
 - „ბრძანებას“
 - „დადგენილებას“
 - „მორიგებას“
 - „სააღსრულებო ბრძანებას“;
 - „სააღსრულებო ფურცელს“
 - „დაუსრულებელ გადაწყვეტილებას“
 - „წინასწარი (შუალედურ) გადაწყვეტილებას“
 - „*anti-suit injunctions*“ და ა.შ.?
- „საბოლოო ხასიათი“ , “არსებითი გადაწყვეტა” და „კანონიერი ძალა“

მუხლი 284. განჩინების გამოტანა

1. სასამართლოს დადგენილება, რომლითაც საქმე არსებითად არ წყდება, მიიღება განჩინების ფორმით.

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

გადაწყვეტილებათა ცნობა:

➤ მატერიალური კანონიერი ძალა და ფორმალური კანონიერი ძალა:

მუხლი 266. გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შედეგები

გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე მათ უფლებამონაცვლებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასამართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი.

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

მუხლი 264. სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლა

1. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში:

- ა) გამოცხადებისთანავე, თუ დაუშვებელია სააპელაციო წესით გასაჩივრება;
- ბ) სააპელაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, როდესაც დასაშვებია გადაწყვეტილების სააპელაციო გასაჩივრება, თუ იგი არ იყო ამ წესით გასაჩივრებული;
- გ) სააპელაციო სასამართლოს განჩინების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელი დატოვა;
- დ) თუ გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის სააპელაციო წესით გასაჩივრებაზე.

2. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება), თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედის მისი საკასაციო წესით გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო თუ იყო გასაჩივრებული – საკასაციო წესით საქმის განხილვის შემდეგ, თუკი სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) არ გაუქმებულა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში ასევე შედის, თუ გადაწყვეტილების (განჩინების) გამოცხადების შემდეგ მხარეები წერილობითი ფორმით განაცხადებენ უარს მის საკასაციო წესით გასაჩივრებაზე.

3. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება (განჩინება) კანონიერ ძალაში შედის დაუყოვნებლივ, მისი გამოცხადებისთანავე.

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

გადაწყვეტილებათა ცნობა:

- პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგების ცნობა:
 - მატერიალური კანონიერი ძალა (*res judicata*) (მუხლი: 266, 106)
 - მესამე პირები პროცესში (მუხლი: 88-90)
 - ახალ ფაქტობრივ გარემოებებზე მითითების შეუძლებლობა (მუხლი: 219)
 - გარდაქმნითი შედეგები

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

გადაწყვეტილებათა ცნობა:

- პროცესუალურ-სამართლებრივი შედეგების ცნობა: რომელი ქვეყნის სამართლით?
- ❑ *შედეგების გავრცელების თეორია - პირველი სახელმწიფოს სამართალი*
- ❑ *გათანაბრების თეორია - მეორე სახელმწიფოს სამართალი*
- ❑ *კუმულაციის თეორია - პირველი სახელმწიფოს სამართლის მიხედვით ოღონდ მეორე სახელმწიფოს სამართლის ზღვარზე*

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

გადაწყვეტილებათა ცნობა:

➤ ცნება?

- კანონი არ განსაზღვრავს!
- საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის

მუხლი 20. ცნობისა და აღსრულების იურიდიული ძალა

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის სასამართლოს მიერ, მეორე მხარის სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობას და აღსრულებას გააჩნია ისეთივე ძალა, როგორც ხელშეკრულების მონაწილე ამ მხარის სასამართლოს გადაწყვეტილებას.

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

გადაწყვეტილებათა ცნობა:

➤ ცნება?

- კანონი არ განსაზღვრავს!
- საერთაშორისო ხელშეკრულება საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის

მუხლი 20. ცნობისა და აღსრულების იურიდიული ძალა

ხელშეკრულების მონაწილე ერთი მხარის [საქართველოს] სასამართლოს მიერ, მეორე მხარის [სომხეთის] სასამართლოს გადაწყვეტილების ცნობას და აღსრულებას გააჩნია ისეთივე ძალა, როგორც ხელშეკრულების მონაწილე **ამ მხარის** [საქართველოს **თუ** სომხეთის?] სასამართლოს გადაწყვეტილებას.

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

გადაწყვეტილებათა ცნობა:

სასამართლო პრაქტიკა:

სუს: #ა-1985-შ-68-09, 26 მარტი 2010 - ცნობის ცნება?

- “[...] საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს. ამ შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების ობიექტად მოიაზრება არა კანონიერ ძალაში შესული ნებისმიერი გადაწყვეტილება, არამედ - მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ცნობაუნარიანი გადაწყვეტილება”
- “[...] უცხო ქვეყნის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა ნიშნავს, რომ ამ გადაწყვეტილებას საქართველოს ტერიტორიაზე მოჰყვება იგივე სამართლებრივი შედეგი, რასაც აღნიშნული გადაწყვეტილება მის გამომტან ქვეყანაში ისახავს მიზნად [...].”

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

ორმხრივობის (ნაცვალგების) პრინციპი (Reciprocity)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება,
საქმის ნომერი , ა-2046-შ-57-2010, თარიღი 20/12/2010

„საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის “ე” ქვეპუნქტის საფუძველზე საქართველო არ ცნობს უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილებებს, თუ უცხო ქვეყანა არ ცნობს საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს.

➤ საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა ორ სიტუაციას მოიცავს:

ა) საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს შორის არ არსებობს ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმება, რომლის ძალითაც მხარეებს ერთმანეთის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობის ვალდებულება ეკისრებათ,


ბ) უცხო ქვეყანა, გაკრვეული მოსაზრებებიდან და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ ცნობს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა საერთაშორისო შეთანხმება.

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

- განსახილველ შემთხვევაში სასამართლო აქტები, რომელთა ცნობასაც შუამდგომლობის ავტორი ითხოვს მიღებულია **ისრაელის** სასამართლოს მიერ. საქართველოსა და **ისრაელის** სახელმწიფოს შორის რაიმე ორმხრივი შეთანხმება სამართლებრივი დახმარების გაწევის ან სასამართლო გადაწყვეტილების ცნობის შესახებ არ არსებობს. მხარეები არც რომელიმე მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულების წევრები არიან, რომელიც ამგვარ საკითხებს აწესრიგებს, შესაბამისად, **ისრაელის** სახელმწიფოს საქართველოს სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობასთან დაკავშირებით რაიმე ვალდებულება არ აქვს ნაკისრი, აღნიშნული კი, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონის 68-ე მუხლის საფუძველზე, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია.

D. კაზუსი (case-study)

ბ. უნდა დაეკმაყოფილებინა თუ არა ყადაღის თაობაზე გამყიდველის მოთხოვნა ქართულ სასამართლოს?

ყადაღა	კანონები
<p>სკ 20? სსსკ 198 (3)?</p> <div style="text-align: center; margin: 20px 0;">  </div> <p style="text-align: center;">დააკმაყოფილებს?</p>	<p>სსსკ 198 (3). სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.</p> <p>სკ 20. სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.</p>

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

სუს: # ა-4678-შ-88-2012, 11 თებერვალი 2013 – “Freezing Injunction”? (+)

- დიდი ბრიტანეთის სამეფო სასამართლოს ბრძანების (მოპასუხე ვ.გ-ას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ) საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

სუს: # ა-562-შ-26-09, 3 აპრილი 2009 – “Freezing Injunction”? თუ „Consent Order“? (-)

- დიდი ბრიტანეთის სამეფო სასამართლოს თანხმობის ბრძანების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.
- “[...] აღნიშნული ბრძანებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოპასუხე 2009 წლის 19 მარტის 16.30 საათამდე არ განკარგავდა, არ დატვირთავდა და არ შეამცირებდა იმ ქონების ღირებულებას, რომელიც ჩამოთვლილია შპს «ბ.» და შპს «ბ.» შორის 2007 წლის 22 ივნისს დადებული «წინარე ნასყიდობის ხელშეკრულების» მე-3 მუხლში (შემდგომში: «ქონება»). აღნიშნული ბრძანებით ასევე მხარეებს განესაზღვრათ ვადა – 19 მარტის 16.30 საათამდე მტკიცებულებებისა და შესაგებლის წარმოსადგენად.”

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

სუს: # ა-562-შ-26-09, 3 აპრილი 2009 – *“Freezing Injunction”?* თუ *„Consent Order“?*

- დიდი ბრიტანეთის სამეფო სასამართლოს *თანხმობის ბრძანების* საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.
- “[...] აღნიშნული ნორმის [სკს-ის 68-ე მუხლის] მიხედვით, დასაშვებია უცხო ქვეყნის მხოლოდ ისეთი გადაწყვეტილების ცნობა, რომლითაც დამთავრებულია საქმის წარმოება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით. მოცემულ შემთხვევაში შუამდგომლობის ავტორი ითხოვს ისეთი ბრძანების ცნობას, რომლითაც არ არის დამთავრებული საქმის წარმოება.”
- *“[...] საკასაციო პალატა თვლის, რომ ამ ბრძანებით შესრულდა გარკვეული საპროცესო მოქმედება, ხოლო ასეთი თანხმობის ბრძანების ცნობას კი კანონი არ ითვალისწინებს.”*
- ❖ *თუ მორიგება იყო, 72-ე მუხლი?*

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

I. პროცესი: სუს: # ა-2452-შ-84-09, 10 ნოემბერი, 2009 – უზრუნველყოფის გამოყენება (-) ლიტვა

- „მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სასამართლოების საერთაშორისო კომპეტენცია შემოიფარგლება უცხო ქვეყნის გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულებით, ხოლო სარჩელის ან მიღებული გადაწყვეტილების უზრუნველყოფის ღონისძიებათა გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ სასამართლოს მიერ, რომელიც შესაბამის დავას განიხილავს.“
 - „ამდენად, „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც უცხო ქვეყნის სასამართლო გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე ცნობისა და აღსრულების წესებს განსაზღვრავს, არ ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობას იმ საქმეებზე, რომლებიც უცხო ქვეყნის სასამართლოების წარმოებაშია.“
- ❖ მუხლი 20? → საყურადღებო განმარტება უზრუნველყოფის გამოყენებისას!

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

II. პროცესი: სუს: # ა-1867-შ-44-10, 13 დეკემბერი, 2010 – ყადაღის ცნობა (-)

ლიტვა

„public policy (ordre public), “ “Lis Pendens”

- „[...] “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ზ” ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება თუ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ამავე კოდექსის 198-ე მუხლის მე-2 ნაწილის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, სარჩელის უზრუნველყოფა შეიძლება იყოს ყადაღის დადება ქონებაზე, ფასიან ქალაქებსა თუ ფულად სახსრებზე, რომელიც მოპასუხეს ეკუთვნის და არის მასთან ან სხვა პირთან.
- „[...] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის მე-2 ნაწილს, რომლის თანახმად, განცხადებას, რომლითაც პირი ითხოვს უძრავ ქონებაზე ყადაღის დადებას, უნდა დაერთოს ცნობა საჯარო რეესტრიდან ან შესაბამისი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება უძრავ ქონებაზე მოპასუხის საკუთრების უფლება.

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

II. პროცესი: სუს: # ა-1867-შ-44-10, 13 დეკემბერი, 2010 – ყადაღის ცნობა (-)

ლიტვა

„public policy (ordre public),“ “Lis Pendens”

- „[...] საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის “გ” ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება თუ ერთსა და იმავე მხარეებს შორის ერთსა და იმავე სამართლებრივ დავაზე არსებობს საქართველოს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება. მოცემულ შემთხვევაში ლიტვის რესპუბლიკის ქ.ვილნიუსის საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეზე, სადაც მხარეები იყვნენ დახურული სააქციო საზოგადოება “ა.-” და შპს “აი. კომპანი”, ხოლო დავის საგანი არის ხელშეკრულების მოშლის უკანონოდ ცნობა, 2008-2009 წლების განმავლობაში მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურება, 2007-2008 წლების მარკეტინგული ხარჯებისა და პროდუქციის ხელმეორედ შეფუთვის ხარჯების ანაზღაურება. ამავდროულად, იმავე მხარეებსა და იმავე დავის საგანზე ახალციხის რაიონულმა სასამართლომ მიერ 2010 წლის 26 მარტს გამოტანილია გადაწყვეტილება, რომელიც, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, კანონიერ ძალაში შევიდა 2010 წლის 17 მაისს.“

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

სუს: # ა-415-შ-28-07, 30 აპრილი, 2007 – „public policy (ordre public)“ - (-) უკრაინა

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 1997წლის 21 ივლისის^{11/51} გადაწყვეტილებით ცნობილი იქნა არაკონსტიტუციურად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მე-5 ნაწილის პირველი პუნქტი და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციის ის ნაწილი, რომელშიც დამატებითი სასჯელის სახით გათვალისწინებულია ქონების კონფისკაცია. ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი დამატებითი სასჯელის სახით ქონების კონფისკაციას არ ითვალისწინებს.
- “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 64-ე მუხლის “ა” პუნქტის თანახმად, სამართლებრივი დახმარება არ გაიწევა, თუ შუამდგომლობის დაკმაყოფილება ეწინააღმდეგება საქართველოს ძირითად სამართლებრივ პრინციპებს. ამდენად, უკრაინის კიევის ოლქის ბორისპოლის რაიონული სასამართლოს 2006წლის 4 აპრილის განაჩენი ქონების კონფისკაციის ნაწილში, საკასაციო პალატის მიერ არ უნდა იქნეს ცნობილი საქართველოს ტერიტორიაზე.

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

I. პროცესი: სუს: # ა-1238-შ-43-07, 25 სექტემბერი, 2007 – ყადაღის ცნობა - (+)

სომხეთი

- „[...] სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევანის ავანისა და ნორკ-ნორკის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის დადგენილებით ა. ბ-ს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა, ყადაღა დაედო ავტომანქანა “მიცუბიში მონტეროს” სახელმწიფო ნომრით [...].“ **„აღნიშნული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა და არ აღსრულებულა.“**
 - “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-69-ე მუხლების თანახმად, არსებობს ყველა საფუძველი, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ ცნოს სომხეთის რესპუბლიკის ქ. ერევანის ავანისა და ნორკ-ნორკის ოლქის პირველი ინსტანციის სასამართლოს 2007 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება, რადგან დაცულია აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული მოთხოვნები.“
- **ყოველგვარი დასაბუთებული მსჯელობის გარეშე!**

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

II. პროცესი: სუს: # ა-1107-შ-23-2010, 20 სექტემბერი, 2010 – ყადაღის გაუქმება - (+) სომხეთი

- „[...] შუამდგომლობის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ დადგენილება, რომლის საქართველოს ტერიტორიაზე ცნობასა და აღსრულებას მხარე მოითხოვს, კანონიერ ძალაში შევიდა გამოქვეყნებისთანავე, ასევე დასტურდება, რომ ა. ბ-ანი სათანადოდ იყო ინფორმირებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გაუქმების შესახებ მ. ა-ჰის განცხადების განხილვის თაობაზე.“
 - “საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ” საქართველოს კანონის 68-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საქართველო ცნობს უცხო ქვეყნის კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო გადაწყვეტილებებს გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც გათვალისწინებულია ამავე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით.“
- ყოველგვარი დასაბუთებული მსჯელობის გარეშე!

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

1. სუს: # ა-2046-შ-57-2010, 20 დეკემბერი, 2010;

2. სუს: # ა-1369-შ-30-2012, 24 ივლისი, 2012

reciprocity / ორმხრივობა, ნაცვალგება - (-) ისრაელი და ლიტვა

• „[...] საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმა ორ სიტუაციას მოიცავს:

ა) საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს შორის არ არსებობს ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმება, რომლის ძალითაც მხარეებს ერთმანეთის სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობის ვალდებულება ეკისრებათ,

ბ) უცხო ქვეყანა, გაკრვეული მოსაზრებებიდან და სამართლებრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, საქართველოს სასამართლოს გადაწყვეტილებებს არ ცნობს, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა საერთაშორისო შეთანხმება.“

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

სუს: # ვ-799-შ-97-2012, 25 ივნისი, 2013 - *სარკისებრი პრინციპი / Spiegelbildsprinzip- (-)*

- ❖ *“ჩვენ ვცნობთ იმ ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელსაც საერთაშორისო კომპეტენციის შესახებ [საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების] ჰიპოთეტური გამოყენებისასაც ექნებოდა საერთაშორისო კომპეტენცია“*

68 (2) გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ: დ) უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება;

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

სუს: # ვ-799-შ-97-2012, 25 ივნისი, 2013 - სარკისებრი პრინციპი / Spiegelbildsprinzip- (-)

- “მოცემულ შემთხვევაში, წარმოდგენილია შუამდგომლობა ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლოს 2012 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების იძულებით აღსრულების თაობაზე. შუამდგომლობაზე თანდართული ხელშეკრულების 10.2 პუნქტის თანახმად, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საარბიტრაჟო სასამართლოში მოსარჩელის ადგილსამყოფელის მიხედვით.”
- “სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული საარბიტრაჟო შეთანხმება არ არის ნამდვილი...არბიტრაჟის შესახებ კანონის“ საფუძველზე, საარბიტრაჟო შეთანხმებას ძალა აქვს იმ შემთხვევაში, თუ მხარეები განსაზღვრავენ კონკრეტულ სასამართლოს, რომელსაც უნდა გადაეცეს საქმე განსახილველად, რაც მოცემულ შემთხვევაში, შესრულებული არ არის.”

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

სუს: # ვ-799-შ-97-2012, 25 ივნისი, 2013 - სარკისებრი პრინციპი / Spiegelbildsprinzip- (-)

- „საკასაციო სასამართლო ყურადღებას იმ გარემოებაზეც ამახვილებს, რომ საქართველოსაგან განსხვავებით, რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობის თანახმად, საარბიტრაჟო სასამართლოები საერთო სასამართლოთა სისტემას მიეკუთვნება. შეთანხმების საფუძველზე, გაურკვეველია, მხარეთა არჩევანი საერთო სასამართლოებს მოიცავს, თუ კერძო არბიტრაჟს. ხელშეკრულება დადებულია ქართულ და რუსულ კომპანიებს შორის. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე მხარე ქართული კომპანია იქნებოდა, გაუგებარია, რომელი სასამართლოსათვის უნდა მიემართა მას.
- სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის თანახმად, თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა. შეთანხმება ფორმდება წერილობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუნდაც სახელშეკრულებო განსჯადობა შეეხებოდეს საერთო სასამართლოთა სისტემას, მხარეები მაინც კონკრეტულ სასამართლოზე უნდა იყვნენ შეთანხმებულები, რომელსაც დავის წარმოშობის შემთხვევაში მიმართავენ.

ც. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

სუს: # ვ-799-შ-97-2012, 25 ივნისი, 2013 - *სარკისებრი პრინციპი / Spiegelbildsprinzip* (-)

- აღნიშნულის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს მხარეთა შეთანხმება სახელშეკრულებო განსჯადობის თაობაზე.
- „საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ“ კანონის 68-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების ცნობა არ ხდება, თუ უცხო ქვეყნის სასამართლო, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად კომპეტენტურად არ ითვლება.
- მოცემულ შემთხვევაში, ომსკის ოლქის საარბიტრაჟო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილების საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით აღსრულებასაც მხარეები მოითხოვენ, ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, კომპეტენტურ სასამართლოდ არ ითვლება.
- „არბიტრაჟის შესახებ“ კანონის 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, იმ ქვეყნის მიუხედავად, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, ამ გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას, თუ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს.

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

ევროპის რეგულაცია:

- რეგულაცია Nr. 44/2001 სასამართლოთა კომპეტენციისა და სამოქალაქო და სამეწარმეო (სავაჭრო) საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ (Brussels I) vs სკს-ის კანონი

მუხლი 18. შეთანხმებები საერთაშორისო კომპეტენციის თაობაზე

1. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საქართველოს სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე იმ შემთხვევაშიც, როცა ამ კანონის მე-8, მე-9 და მე-10 მუხლების მიხედვით იგი კომპეტენტური არ არის. ასეთი შეთანხმება უნდა დაიდოს:

3. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ უცხო ქვეყნის სასამართლოს საერთაშორისო კომპეტენციაზე, თუ ერთ-ერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილი, რეზიდენცია ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი უცხო ქვეყანაში აქვს. ასეთ შეთანხმებაზე შესაბამისად ვრცელდება ამ მუხლის მე-2 პუნქტი.

4. შეთანხმებები ამ კანონის მე-10–16 მუხლებით გათვალისწინებული კომპეტენციის თაობაზე ბათილია. ასეთ შემთხვევაში ამ მუხლის მე-2 პუნქტი არ გამოიყენება.

კომპეტენციის პროროგაცია

მუხლი 23

1. თუ მხარეები, რომელთაგან ერთს ან მეტს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი აქვს წევრ სახელმწიფოში, შეთანხმდებიან, რომ წევრი სახელმწიფოს სასამართლოს ან სასამართლოებს გააჩნიათ კომპეტენცია იმ დავის განსახილველად, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით, აღნიშნულ სასამართლოს ან სასამართლოებს უნდა მიენიჭოს კომპეტენცია. მსგავსი ფორმით განსაზღვრული კომპეტენცია უნდა ჩაითვალოს როგორც გამოძრისხველი ხასიათის (ექსკლუზიური) კომპეტენცია, თუ საწინააღმდეგო არ არის შეთანხმებული.

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

ევროპის რეგულაცია:

- რეგულაცია Nr. 44/2001 სასამართლოთა კომპეტენციისა და სამოქალაქო და სამეწარმეო (სავაჭრო) საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ (Brussels I) vs სკს-ის კანონი

Article 32

- For the purposes of this Regulation, "judgment" means any judgment given by a court or tribunal of a Member State, whatever the judgment may be called, including a decree, order, decision or writ of execution, as well as the determination of costs or expenses by an officer of the court.

მუხლი 32

- წინამდებარე რეგულაციის მიზნებისათვის, „გადაწყვეტილება“ გულისხმობს ნებისმიერი სახის გადაწყვეტილებას, რომელიც მიღებული არის წევრი სახელმწიფოს სასამართლოს ან ტრიბუნალის მიერ, განურჩევლად იმისა, თუ რა ეწოდება გადაწყვეტილებას, დადგენილების, ბრძანების, გადაწყვეტილების ან სააღსრულებო ფურცლის, ასევე სასამართლოს აღმასრულებლის მიერ გაცემული ხარჯების დადგენილების ჩათვლით

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

ევროპის რეგულაცია:

- რეგულაცია Nr. 44/2001 სასამართლოთა კომპეტენციისა და სამოქალაქო და სამეწარმეო (სავაჭრო) საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ (*Brussels I*)

➤ სასამართლოს პრაქტიკა:

- როგორც წესი უზრუნველყოფის ღონისძიებები ცნობაუნარიან გადაწყვეტილებებად განიხილება, თუმცა ერთ-ერთ წინაპირობას წარმოადგენს, რომ „*inter parte*“ პროცედურის დაცვით იყოს მიღებული გადაწყვეტილება და არა „*ex parte*“ პროცედურით. თუმცა აღნიშნული მიდგომა კრიტიკის საგანია

იხ. საქმეები:

- *Bernard Denilauler v. SNC Couchert Freres, (Case 125/79) (1980);*
- *Normaco v. Lundman, (1999) ILPr381.*

**C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა
გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა**

საქართველოს საკანონმდებლო რეგულირება

<p align="center">უზრუნველყოფის გამოყენება?</p>	<p align="center"><i>კანონები</i></p>
<p>sk 20? სსსკ 191 - 199¹?</p> <p align="center">↓</p> <p>დაკმაყოფილებადია?</p>	<p>სსსკ 198 (3). სასამართლოს შეუძლია გამოიყენოს სხვა ღონისძიებებიც, თუ ეს აუცილებელია სარჩელის უზრუნველყოფისათვის. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება დაშვებულ იქნეს სარჩელის უზრუნველყოფის რამდენიმე სახე.</p> <p>სკ 20. სარჩელის უზრუნველყოფისას საქართველოს სასამართლო კომპეტენტურია, თუ უზრუნველყოფის ღონისძიებები საქართველოშია აღსასრულებელი ან საქართველოს სასამართლოებს აქვთ საერთაშორისო კომპეტენცია.</p>

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

ევროპის რეგულაცია:

- რეგულაცია Nr. 44/2001 სასამართლოთა კომპეტენციისა და სამოქალაქო და სამეწარმეო (სავაჭრო) საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ (Brussels I) vs სკს-ის კანონი

Article 31

- Application may be made to the courts of a Member State for such provisional, including protective, measures as may be available under the law of that State, even if, under this Regulation, the courts of another Member State have jurisdiction as to the substance of the matter.

მუხლი 31

- წევრი სახელმწიფოს სასამართლოში განცხადების წარდგენა ისეთი უზრუნველყოფის ღონისძიებების შესახებ, რომელიც მოიცავს დამცავ საშუალებებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებადი იყოს ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მაშინაც შეიძლება წარდგენილ იქნეს ამ სასამართლოში, თუ წინამდებარე რეგულაციის თანახმად სხვა წევრი სახელმწიფოს სასამართლოები არიან განსჯადი საქმის არსებით განხილვასთან მიმართებით.

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

სასამართლო პრაქტიკა:

სუს: # ა-4678-შ-88-2012, 11 თებერვალი 2013 – *“Freezing Injunction”?* (+)

- დიდი ბრიტანეთის სამეფო სასამართლოს *ბრძანების (მოპასუხე ვ.გ-ას ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ)* საქართველოს ტერიტორიაზე ცნობა და აღსრულება.

C. უცხო ქვეყნის სასამართლოთა გადაწყვეტილებების (საქართველოში) ცნობა

1. უზრუნველყოფის ღონისძიებების ცნობა:

- შესაბამისი ღონისძიების სამართლებრივი ბუნების შესწავლა და შედარება საქართველოში არსებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით მოქმედ ძირითად იმპერატიულ პრინციპებთან;*
- არაერთგვაროვანი მიდგომის არსებობა*
- ცნობაზე ორიენტირებული მიდგომის აუცილებლობა;*

2. უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენება:

- მუხლი 20 იძლევა შესაძლებლობას საერთაშორისო პროცესის მიზნებისათვის მოხდეს უზრუნველყოფის ღონისძიებ(ებ)ის გამოყენება*

D. კაზუსი (case-study)

c. ინგლისის ნაცვლად რომ პირდაპირ ქართული სასამართლოს წინაშე აღებრა სარჩელი გამყიდველს რომელი ქვეყნის სამართლით გადაწყვეტდა ქართველი მოსამართლე დავას?

თანხის გადახდა	ჯარიმის გადახდა
<p>სკ 1, 2 სკ 35 – იტალია? CISG 1, 2? ხელშეკრულება მუხლი 10? სკ 4 – იტალიის საერთაშორისო კერძო?</p> <p style="text-align: center;">↓</p> <p>ქართული, იტალიური, ინგლისური, აშშ?</p>	<p>სკ 1, 2 სკ 36 (1) – საფრანგეთი? აშშ? რომი 1 რეგულაცია? – მუხლი 4, 20?</p> <p style="text-align: center;">↓</p> <p>ქართული, იტალიური, ფრანგული, აშშ?</p>

D. კაზუსი

მუხლი 7. ნორმატიულ აქტთა ურთიერთმიმართება

3. საქართველოს საკანონმდებლო აქტების, საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმებისა და საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების მიმართ მოქმედებს შემდეგი იერარქია:

- ა) საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს კონსტიტუციური კანონი;
- ბ) საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება;
- გ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულება და შეთანხმება;
- დ) საქართველოს ორგანული კანონი;
- ე) საქართველოს კანონი, საქართველოს პრეზიდენტის დეკრეტი, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი.

D. კაზუსი (case-study)



d. ინგლისის ნაცვლად რომ პირდაპირ ქართული სასამართლოს წინაშე აღედგინა სარჩელი გამყიდველს ექნებოდათ თუ არა ქართულ სასამართლოებს დავის განხილვის უფლება და შესაბამისად საერთაშორისო კომპეტენცია?

საერთაშორისო კომპეტენცია	კანონები; ხელშეკრულება
<p>სკ 8, 9, 10, 18? სსსკ 17?</p> <p style="text-align: center;">↓</p> <p style="text-align: center;">დაიდგენს კომპეტენციას?</p>	<p>სკ 9 საქართველოს სასამართლოებს საერთაშორისო კომპეტენცია აქვთ იმ შემთხვევაში, თუ:</p> <p>ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ადგილი საქართველოა;</p> <p>მუხლი 10.3. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების ადგილს წარმოადგენს საქართველო, თბილისი.</p>

D. კაზუსი (case-study)

a. დაუშვებს თუ არა თბილისის საქალაქო სასამართლო სარჩელს განსახილველად?

b. თუ დაუშვებს სარჩელს განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლო და დაიდგენს თავის საერთაშორისო კომპეტენციას რომელი ქვეყნის სამართლით გადაწყვეტს დავას სასარჩელო მოთხოვნისა და ხანდაზმულობის თაობაზე?

საერთაშორისო კომპეტენცია	გამოსაყენებელი სამართალი
<p>ხელშეკრულების მუხლი 10? სკ 8, 9, 10, 18? სსსკ 17?</p> <div style="text-align: center; margin-top: 20px;">  </div> <p style="text-align: center; margin-top: 10px;">დაიდგენს კომპეტენციას?</p>	<p>ხელშეკრულების მუხლი 10? სკ 1, 2 სკ 36 (1) – აშშ? საფრანგეთი? დელავერის შტატის საპროცესო კოდექსი? რომი 1 რეგულაცია? – მუხლი 4, 20?</p> <div style="text-align: center; margin-top: 20px;">  </div> <p style="text-align: center; margin-top: 10px;">ქართული, იტალიური, ფრანგული, აშშ? ხანდაზმუობა?</p>

D. კაზუსი (case-study)

a. დაუშვებს თუ არა თბილისის საქალაქო სასამართლო სარჩელს განსახილველად?

b. თუ დაუშვებს სარჩელს განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლო და დაიდგენს თავის საერთაშორისო კომპეტენციას რომელი ქვეყნის სამართლით გადაწყვეტს დავას სასარჩელო მოთხოვნისა და ხანდაზმულობის თაობაზე?

საერთაშორისო კომპეტენცია	გამოსაყენებელი სამართალი
ხელშეკრულების მუხლი 8? სკ 8, 9, 10, 18? სსსკ 17? ↓ დაიდგენს კომპეტენციას?	ხელშეკრულების მუხლი 8? – აშშ? სკ 36 (1) – საქართველო? სკ 38, 5, 6? შრომის კოდექსი 1? ↓ ქართული, იტალიური, ფრანგული, აშშ?

D. კაზუსი (case-study)

მუხლი 10. დავათა გადაწყვეტა

- წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილ ყველა სახის დავათა გადაწყვეტა უნდა მოხდეს მხოლოდ საქართველოს სასამართლოების მიერ.
- ❖ საკმარისია ხელშეკრულების მუხლის აღნიშნული სახით ფორმულირება, რათა მიღწეულ იქნას დავათა მხოლოდ საქართველოში განხილვის მიზანი?
- ❖ ასეთი დათქმის არსებობა უკრძალავს მეორე მხარეს სარჩელი აღძრას სხვა სასამართლოს წინაშე?
- ❖ აღნიშნული დათქმის საწინააღმდეგოდ სარჩელის სხვა სასამართლოში აღძვრა იწვევს თუ არა სამართლებრივ პასუხისმგებლობას? ვის მიმართ შეიძლება მოთხოვნის დაყენება?

D. კაზუსი (case-study)

საერთაშორისო პრაქტიკა

რეგულაცია Nr. 44/2001 სასამართლოთა კომპეტენციისა და სამოქალაქო და სამეწარმეო (სავაჭრო) საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ

- *Prorogation of jurisdiction*

- Article 23

- 1. If the parties, one or more of whom is domiciled in a Member State, have agreed that a court or the courts of a Member State are to have jurisdiction to settle any disputes which have arisen or which may arise in connection with a particular legal relationship, that court or those courts shall have jurisdiction. Such jurisdiction shall be exclusive unless the parties have agreed otherwise.

- *კომპეტენციის პროროგაცია*

- მუხლი 23

- 1. თუ მხარეები, რომელთაგან ერთს ან მეტს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი აქვს წევრ სახელმწიფოში, შეთანხმდებიან, რომ წევრი სახელმწიფოს სასამართლოს ან სასამართლოებს გააჩნიათ კომპეტენცია იმ დავის განსახილველად, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობასთან მიმართებით, აღნიშნულ სასამართლოს ან სასამართლოებს უნდა მიენიჭოს კომპეტენცია. მსგავსი ფორმით განსაზღვრული კომპეტენცია უნდა ჩაითვალოს როგორც გამომრიცხველი ხასიათის (ექსკლუზიური) კომპეტენცია, თუ საწინააღმდეგო არ არის შეთანხმებული.

D. კაზუსი (case-study)

გამომრიცხავი კომპეტენცია
(მხოლოდ საქართველოს სასამართლოები)

კომბინირებული ჯარიმასთან
(შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმა, ზიანი)

სარჩელის სხვაგან აღძვრის შემთხვევაში ჯარიმა
და ცნობა-აღსრულების შეუძლებლობა
საქართველოში

1. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და მის საფუძველზე წარმოშობილ ყველა სახის დავათა გადაწყვეტა უნდა მოხდეს მხოლოდ საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, სხვა დანარჩენი ნებისმიერი ქვეყნის სასამართლოების გამორიცხვით.
2. აღნიშნული დათქმის საწინააღმდეგოდ მოქმედი მხარე ვალდებულია ჯარიმის სახით მეორე მხარეს გადაუხადოს (————— თანხის ოდენობა)

დიდი მადლობა!